BAG
ინდექსი

საქართველოს ბიზნეს ასოციაცია
BUSINESS ASSOCIATION OF GEORGIA

ifo INSTITUTE
Leibniz Institute for Economic Research
at the University of Munich

MPC Research

III კვარტალი 2023

BAG ინდექსი

ბიზნეს
კლიმატი

დასაქმების
ბარომეტრი

ინვესტიციების
კვლევა

III კვარტალი
2023

სარჩევი

BAG ინდექსი 1

BAG ბიზნეს კლიმატი 1

BAG ბიზნეს კლიმატი სექტორების მიხედვით 3

დასაქმება, გაყიდვები და გაყიდვების ფასები სექტორების მიხედვით 5

ბიზნესსაქმიანობისთვის ხელის შემშლელი ფაქტორები 8

დაფინანსება 13

მოლოდინი გაცვლითი კურსის შესახებ 15

BAG დასაქმების ბარომეტრი 17

BAG ინვესტიციების კვლევა 21

BAG ინდექსი

მომზადებულია პი ემ სი კვლევითი ცენტრის და ifo institute-ის მიერ

საქართველოს ბიზნეს ასოციაციის (BAG) ინდექსი საქართველოს ბიზნეს ასოციაციის, პიემსი კვლევითი ცენტრისა და ifo ეკონომიკური კვლევების ინსტიტუტის ერთობლივი პროდუქტია. BAG ინდექსი მოიცავს BAG-ის წევრებისა და მათ ჯგუფში შემავალი კომპანიების[1] მმართველი მენეჯერების შეფასებას BAG ბიზნეს კლიმატის, BAG დასაქმების ბარომეტრის და BAG საინვესტიციო გარემოს შესახებ. პიემსი კვლევითი ცენტრი BAG ინდექსს აქვეყნებს ყოველკვარტალურად.

BAG ბიზნეს კლიმატი

BAG ბიზნეს კლიმატის მაჩვენებელი გამოითვლება BAG-ის წევრებისა და მათ ჯგუფში შემავალი კომპანიების გამოკითხვის საფუძველზე. კითხვარის მეშვეობით კომპანიები აფასებენ თავიანთ მიმდინარე მდგომარეობას და მომდევნო ექვსი თვის მოლოდინს[2]. კომპანიები, ასევე, აფასებენ გაყიდვების, გაყიდვების ფასების, დასაქმებულთა რაოდენობის და დასაქმებულთა ანაზღაურების ცვლილებას გასულ და მიმდინარე კვარტლებში და აფიქსირებენ მოლოდინს მომდევნო კვარტლისთვის. დამატებით, კომპანიები ასახელებენ თავიანთი ბიზნესსაქმიანობისთვის ხელის შემშლელ ფაქტორებს, აფიქსირებენ გაცვლითი კურსის შესახებ არსებულ მოლოდინს, და აფასებენ ფინანსებზე ხელმისაწვდომობასა და საინვესტიციო გარემოს. აღნიშნული ინდექსის ფარგლებში, BAG-ის წევრები და მათ ჯგუფში შემავალი კომპანიები გადანაწილდა ოთხ სექტორში: ვაჭრობა, მომსახურება, მრეწველობა და მშენებლობა. 2023 წლის მესამე კვარტლის გამოკითხვა ჩატარდა 2023 წლის 29 აგვისტო - 12 სექტემბრის პერიოდში.

2023 წლის III კვარტალში, გამოკითხულმა კომპანიებმა თავიანთი მიმდინარე მდგომარეობა და მომდევნო ექვსი თვის მოლოდინი *დადებითად* შეაფასეს. 2023 წლის III კვარტალში, BAG ბიზნეს კლიმატის მაჩვენებელმა 48.5 ქულა შეადგინა, მათ შორის, ბიზნესის მიმდინარე მდგომარეობის მაჩვენებელი 43.6, ხოლო ბიზნესის მოლოდინის მაჩვენებელი 53.5 ქულაა.

2023 წლის III კვარტალში, 2023 წლის II კვარტალთან შედარებით, BAG ბიზნეს კლიმატი 2.1 ქულით გაუარესდა. აღნიშნულ პერიოდში, გამოკითხული კომპანიების მიერ მიმდინარე მდგომარეობის შეფასება გაუმჯობესდა 1.0 ქულით, ხოლო მომდევნო 6 თვის მოლოდინის მაჩვენებელი გაუარესდა 5.4 ქულით.

2023 წლის III კვარტლის შედეგები, გაუმჯობესებულია 2022 წლის III კვარტალთან შედარებით, როდესაც BAG ბიზნეს კლიმატის მაჩვენებელი 43.2-ს, მიმდინარე მდგომარეობის შეფასება 39.0-ს, ხოლო მომდევნო 6 თვის მოლოდინის ქულა 47.5-ს შეადგენდა.

აღსანიშნავია, რომ 2021 წლის I კვარტლიდან BAG ბიზნეს კლიმატის მაჩვენებელი დადებითია და 2023 წლის III კვარტლამდე უმჯობესდებოდა (ზრდადი ტენდენციის შემდეგ, 2023 წლის III კვარტალში, წინა კვარტალთან შედარებით, ბიზნეს კლიმატის მაჩვენებელი გაუარესებულია) (იხილეთ გრაფიკი 1). 2021 წლის I და II კვარტლებში, ბიზნეს კლიმატის დადებით მაჩვენებელს ძირითადად განაპირობებდა მომდევნო 6 თვის ოპტიმისტური მოლოდინი. თუმცა 2021 წლის

---

[1] 2021 წლის I კვარტალში BAG ინდექსის მეთოდოლოგიაში განხორციელდა ცვლილება, კერძოდ გაიზარდა გამოსაკითხი კომპანიების რაოდენობა: გამოსაკითხ კომპანიათა ბაზას დაემატა BAG-ის წევრების ჯგუფში შემავალი კომპანიები.

[2] საბალანსო მნიშვნელობა მიმდინარე მდგომარეობისთვის არის სხვაობა „კარგი" და „ცუდი" შეფასებების პროცენტულ წილებს შორის, ხოლო საბალანსო მნიშვნელობა მომდევნო ექვსი თვის მოლოდინისათვის არის სხვაობა „უფრო ხელსაყრელი" და „ნაკლებად ხელსაყრელი" შეფასებების პროცენტულ წილებს შორის. BAG ბიზნეს კლიმატის მაჩვენებელი წარმოადგენს ბიზნესის მიმდინარე მდგომარეობისა და მომდევნო ექვსი თვის მოლოდინის საბალანსო მნიშვნელობების ტრანსფორმირებულ საშუალოს. BAG ბიზნეს კლიმატის მაჩვენებელი შესაძლოა იყოს -100-სა და +100-ს შორის. +100 ნიშნავს, რომ ყველა გამოკითხული ბიზნესი მიმდინარე მდგომარეობას და მოლოდინს აფასებს დადებითად, ხოლო -100 ნიშნავს, რომ ყველა გამოკითხული ბიზნესი მიმდინარე მდგომარეობას და მოლოდინს აფასებს უარყოფითად.

III კვარტლიდან BAG ბიზნეს კლიმატის დადებით მაჩვენებელს ოპტიმისტურ მოლოდინთან ერთად, ასევე, განაპირობებს გამოკითხული კომპანიების უმრავლესობის მიერ მიმდინარე მდგომარეობის დადებითი შეფასება.



გრაფიკი 1: BAG ბიზნეს კლიმატი, ბიზნესის მოლოდინი და ბიზნესის მიმდინარე მდგომარეობა

2023 წლის III კვარტალში, 2023 წლის II კვარტლის მსგავსად, BAG ბიზნეს კლიმატის მაჩვენებელი **ბუმის** ფაზაში იმყოფება.



გრაფიკი 2: BAG ბიზნეს კლიმატი

გრაფიკი 2 საკოორდინატო სიბრტყეზე ასახავს დამოკიდებულებას ბიზნესის მიმდინარე მდგომარეობასა და ბიზნესის მომდევნო ექვსი თვის მოლოდინს შორის. თავის მხრივ, საკოორდინატო სიბრტყის მეოთხედები შესაბამისი სახელებით აღინიშნება, კერძოდ, აღმასვლა, ბუმი, დაღმასვლა და რეცესია:

- თუკი გამოკითხული კომპანიები ბიზნესის მიმდინარე მდგომარეობას აფასებენ უარყოფითად, ხოლო მომდევნო ექვსი თვის მოლოდინს დადებითად, BAG ბიზნეს კლიმატის მაჩვენებელი მოხვდება **„აღმასვლის“** მეოთხედში.
- თუკი გამოკითხული კომპანიები ბიზნესის მიმდინარე მდგომარეობას და მომდევნო ექვსი თვის მოლოდინს აფასებენ დადებითად, BAG ბიზნეს კლიმატის მაჩვენებელი მოხვდება **„ბუმის“** მეოთხედში.
- თუკი გამოკითხული კომპანიები ბიზნესის მიმდინარე მდგომარეობას აფასებენ დადებითად, ხოლო მომდევნო ექვსი თვის მოლოდინს უარყოფითად, BAG ბიზნეს კლიმატის მაჩვენებელი მოხვდება **„დაღმასვლის“** მეოთხედში.
- თუკი გამოკითხული კომპანიები ბიზნესის მიმდინარე მდგომარეობას და მომდევნო ექვსი თვის მოლოდინს აფასებენ უარყოფითად, BAG ბიზნეს კლიმატის მაჩვენებელი მოხვდება **„რეცესიის“** მეოთხედში.

BAG ბიზნეს კლიმატი სექტორების მიხედვით

2023 წლის III კვარტალში **ბიზნეს კლიმატის მაჩვენებელი** ყველა სექტორში დადებითია. 2023 წლის III კვარტალში, 2023 წლის II კვარტალთან შედარებით, აღნიშნული მაჩვენებელი გაუმჯობესდა ვაჭრობისა და მრეწველობის სექტორებში, ხოლო მშენებლობისა და მომსახურების სექტორებში გაუარესდა (იხილეთ გრაფიკი 3).

2023 წლის III კვარტალში, 2023 წლის II კვარტალთან შედარებით, **ბიზნესის მიმდინარე მდგომარეობის** შეფასება ასევე გაუმჯობესდა ვაჭრობისა (14.4 ქულით) და მრეწველობის (11.8 ქულით) სექტორებში, ხოლო მშენებლობისა (-27.3 ქულით) და მომსახურების (-4.5 ქულით) სექტორებში გაუარესდა. სექტორებს შორის, მიმდინარე მდგომარეობა ყველაზე დადებითად შეფასდა ვაჭრობის სექტორის მიერ. აღნიშნულს შესაძლოა, განაპირობებდეს სექტორში გაზრდილი გაყიდვები (ვაჭრობის სექტორში კომპანიათა 55.3%-მა დააფიქსირა 2023 წლის III კვარტალში გაყიდვების ზრდა).

რაც შეეხება **ბიზნესის მომდევნო ექვსი თვის მოლოდინს,** 2023 წლის III კვარტალში, მაჩვენებელი დადებითია ყველა სექტორისთვის. სექტორებს შორის ყველაზე ოპტიმისტური მოლოდინი მშენებლობის სექტორში ფიქსირდება. აღსანიშნავია, რომ 2023 წლის II კვარტალთან შედარებით, ყველა სექტორში გაუარესება შეინიშნება. კლების მაჩვენებელი მაღალია მშენებლობისა (-9.1) და ვაჭრობის (-9.0) სექტორებისთვის, ხოლო მრეწველობისა (-3.6) და მომსახურების (-2.7) სექტორებში შედარებით დაბალი კლება ფიქსირდება.

ცხრილი 1: საბალანსო მნიშვნელობები სექტორების მიხედვით 2023 წლის III კვარტალში

სექტორი	ბიზნეს კლიმატი	ბიზნესის მიმდინარე მდგომარეობა	ბიზნესის მოლოდინი
ვაჭრობის სექტორი	55.2	60.5	50.0
მომსახურების სექტორი	40.5	35.0	46.2
მრეწველობის სექტორი	44.5	30.0	60.0
მშენებლობის სექტორი	63.0	45.5	81.8
ყველა სექტორი	48.5	43.6	53.5



გრაფიკი 3: ბიზნეს კლიმატი სექტორების მიხედვით 2023 წლის II და III კვარტლებში

2021 წლის I კვარტლიდან ვაჭრობის, მრეწველობის და მომსახურების სექტორებში ბიზნეს კლიმატის მაჩვენებელი დადებითია. სექტორებში არსებულ ბიზნეს კლიმატის დადებით შეფასებას განაპირობებს როგორც ოპტიმისტური მოლოდინის არსებობა, ასევე, მიმდინარე მდგომარეობის პოზიტიური შეფასება.

ვაჭრობის და მომსახურების სექტორებში ბიზნეს კლიმატის მაჩვენებელი 2021 წლის I კვარტლიდან, წინა წლის შესაბამის პერიოდებთან შედარებით, უმჯობესდებოდა. გაუმჯობესების ტენდენცია ვაჭრობის სექტორში 2023 წლის III კვარტალშიც შენარჩუნდა, თუმცა მომსახურების სექტორში 2023 წლის III კვარტალში კლება დაფიქსირდა. რაც შეეხება მრეწველობის სექტორს, 2022 წლის II და IV კვარტლებში ბიზნეს კლიმატის მაჩვენებლის გაუარესების შემდეგ, 2023 წლის I კვარტლიდან, წინა წლის შესაბამის პერიოდებთან შედარებით, მაჩვენებელი კვლავ უმჯობესდება.

მშენებლობის სექტორში 2021 წლის I და II კვარტალში ბიზნეს კლიმატის მაჩვენებელი უარყოფითი იყო, თუმცა 2021 წლის III კვარტლიდან, მაჩვენებელი დადებითია და წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, უმჯობესდება. 2022 წლის II კვარტლამდე, მშენებლობის სექტორში ბიზნეს კლიმატის მაჩვენებლის გაუმჯობესებას ძირითადად განაპირობებდა ბიზნესის ოპტიმისტური მოლოდინი, ხოლო 2022 წლის II კვარტლიდან ოპტიმისტურ მოლოდინთან ერთად, მიმდინარე მდგომარეობის დადებითი შეფასებაც (იხილეთ გრაფიკი 4).



გრაფიკი 4: ბიზნეს კლიმატი, ბიზნესის მოლოდინი და ბიზნესის მიმდინარე მდგომარეობა ვაჭრობის, მომსახურების, მრეწველობის და მშენებლობის სექტორებში

დასაქმება, გაყიდვები და გაყიდვების ფასები სექტორების მიხედვით

დასაქმება

- 2023 წლის III კვარტალში, გამოკითხულ კომპანიათა 44%-მა განაცხადა, რომ მათთან დასაქმებულთა რაოდენობა იზრდება. რაც შეეხება 2023 წლის IV კვარტლის მოლოდინს, გამოკითხული კომპანიების 51% ელის დასაქმებულთა რაოდენობის ზრდას (იხილეთ გრაფიკი 5).
- სექტორებს შორის, 2023 წლის III კვარტლის მდგომარეობას დასაქმებულთა რაოდენობის შესახებ ყველაზე პოზიტიურად ვაჭრობის სექტორში აფასებენ. ხოლო რაც შეეხება 2023 წლის IV კვარტლის მოლოდინს დასაქმებულთა რაოდენობის შესახებ, ყველაზე პოზიტიური შეფასებით მშენებლობის სექტორი გამოირჩევა (იხილეთ გრაფიკი 6).
- 2023 წლის III კვარტლის მდგომარეობას დასაქმებულთა რაოდენობის შესახებ ყველაზე ნეგატიურად მშენებლობის სექტორში აფასებენ (9%-მა განაცხადა, რომ მათთან დასაქმებულთა რაოდენობა მცირდება).



გრაფიკი 5: დასაქმებულთა რაოდენობა BAG-ის წევრ და მათ ჯგუფში შემავალ კომპანიებში[3]



გრაფიკი 6: დასაქმებულთა რაოდენობა ვაჭრობის, მომსახურების, მრეწველობის და მშენებლობის სექტორებში

გაყიდვები/მოთხოვნა/ადგილობრივი წარმოება

- გაყიდვების მხრივ, სექტორებს შორის, 2023 წლის III კვარტლის მდგომარეობას ყველაზე პოზიტიურად მომსახურების სექტორში აფასებენ. ხოლო რაც შეეხება 2023 წლის IV კვარტლის მოლოდინს, ყველაზე პოზიტიური მოლოდინი მომსახურებისა და ვაჭრობის სექტორებში ფიქსირდება (იხილეთ გრაფიკი 7).
- 2023 წლის III კვარტლის მდგომარეობას გაყიდვების მიმართულებით ყველაზე ნეგატიურად ვაჭრობის სექტორში აფასებენ (13%-მა განაცხადა რომ მათი გაყიდვები მცირდება).

---

[3] დამრგვალების გამო ანგარიშში მოცემულ ზოგიერთ გრაფიკზე მონაცემთა ჯამი ზუსტად 100%-ის ტოლი არ არის.

* მოლოდინი.



გრაფიკი 7: გაყიდვები, ადგილობრივი წარმოება და მოთხოვნა ვაჭრობის, მომსახურების, მრეწველობის და მშენებლობის სექტორებში

გაყიდვების ფასები

- 2023 წლის III კვარტალში გამოკითხული კომპანიების 19%-მა გაზარდა გაყიდვების ფასები. რაც შეეხება 2023 წლის IV კვარტლის მოლოდინს, გამოკითხულ კომპანიათა 11% ვარაუდობს გაყიდვების ფასების ზრდას (იხილეთ გრაფიკი 8).
- სექტორებს შორის, 2023 წლის III კვარტალში, ფასების ზრდას პროცენტულად ყველაზე მეტი კომპანია მშენებლობის სექტორში აფიქსირებს, რაც შესაძლოა, უკავშირდებოდეს უძრავ ქონებაზე მოთხოვნის გაზრდას. ასევე, 2023 წლის IV კვარტალში ფასების ზრდის მოლოდინი ყველაზე მეტად მშენებლობის სექტორში ფიქსირდება (იხილეთ გრაფიკი 9).
- ფასების ზრდის დინამიკა ყველაზე ნაკლებად მრეწველობის სექტორში შეინიშნება, ვინაიდან არცერთ გამოკითხულ კომპანიას არ გაუზრდია ფასები თავიანთ პროდუქციაზე 2023 წლის III კვარტალში.



გრაფიკი 8: გაყიდვების ფასები BAG-ის წევრ და მათ ჯგუფში შემავალ კომპანიებში



გრაფიკი 9: გაყიდვების ფასები ვაჭრობის, მომსახურების, მრეწველობის და მშენებლობის სექტორებში

ბიზნესსაქმიანობისთვის ხელის შემშლელი ფაქტორები

2023 წლის III კვარტალში, 2023 წლის II კვარტალთან შედარებით, შემცირდა იმ კომპანიების წილი (9 პროცენტული პუნქტით), რომლებიც თვლიან, რომ მათი ბიზნესსაქმიანობისთვის არსებობს ხელის შემშლელი ფაქტორები. ასევე, აღნიშნული მაჩვენებელი 11 პროცენტული პუნქტით არის შემცირებული 2022 წლის III კვარტალთან შედარებით.



გრაფიკი 10: ბიზნესისთვის ხელის შემშლელი ფაქტორების არსებობა

2023 წლის III კვარტალში, ბიზნესსაქმიანობისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ხელის შემშლელი ხუთი ფაქტორია: სპეციალისტების ნაკლებობა, სამუშაო ძალის ნაკლებობა, სამართლებრივი და ადმინისტრაციული ბარიერები, ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის არასტაბილურობა[4] და შეზღუდული ფინანსური რესურსები (იხილეთ გრაფიკი 11).

[4] ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის არასტაბილურობა, როგორც ერთ-ერთი ხელის შემშლელი ფაქტორი ბიზნესისთვის, ბიზნესსაქმიანობისთვის ხელის შემშლელი ფაქტორების შესახებ არსებულ კითხვარს 2021 წლის III კვარტალში დაემატა.



გრაფიკი 11: ძირითადი ხელის შემშლელი ფაქტორები გამოკითხული კომპანიებისთვის 2023 წლის III კვარტალში

მოცემულ კვარტალში, პრობლემათა შორის პირველი ადგილი ***სპეციალისტების ნაკლებობამ*** დაიკავა (აღნიშნულ პრობლემას კომპანიათა 64% ასახელებს ხელის შემშლელად). სექტორებს შორის, სპეციალისტების ნაკლებობა ყველაზე მეტად მშენებლობის სექტორის კომპანიებისთვის (ყველა გამოკითხულმა კომპანიამ, რომლისთვისაც არსებობს ხელის შემშლელი ფაქტორები, აღნიშნული პრობლემა დაასახელა ხელის შემშლელად) წარმოადგენს ხელის შემშლელ ფაქტორს, ყველაზე ნაკლებად კი მრეწველობისა და ვაჭრობის სექტორებისთვის (შესაბამისად, 50% და 50%) (იხილეთ გრაფიკი 12). საწარმოს ზომის მიხედვით[5], ყველაზე მეტად საშუალო ზომის კომპანიები ასახელებენ აღნიშნულ ფაქტორს ხელის შემშლელად (72%) (იხილეთ გრაფიკი 13).

2023 წლის III კვარტალში, ***სამუშაო ძალის ნაკლებობა*** ბიზნესსაქმიანობისთვის ხელის შემშლელ ფაქტორად გამოკითხულ კომპანიათა 49%-მა დაასახელა. სამუშაო ძალის ნაკლებობის პრობლემა ყველაზე მწვავე ვაჭრობის სექტორისთვისაა (63%). საწარმოთა ზომის მიხედვით, სამუშაო ძალის ნაკლებობა ყველაზე მეტად საშუალო ზომის კომპანიებისთვის წარმოადგენს პრობლემას (61%-მა დაასახელა ხელის შემშლელად).

2023 წლის III კვარტალში, ***სამართლებრივი და ადმინისტრაციული ბარიერები*** ბიზნესსაქმიანობისთვის ხელის შემშლელ ფაქტორად გამოკითხულ კომპანიათა 44%-მა დაასახელა. სექტორებს შორის, აღნიშნული პრობლემა ყველაზე მწვავე მომსახურების სექტორისთვისაა (56%), ხოლო ყველაზე ნაკლებად - მრეწველობის სექტორისთვის (0%). საწარმოთა ზომის მიხედვით, აღნიშნული ფაქტორი ყველაზე მეტად მსხვილი ზომის კომპანიებისთვის წარმოადგენს პრობლემას (72%-მა დაასახელა ხელის შემშლელად).

2023 წლის III კვარტალში, ***ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის არასტაბილურობა*** ბიზნესსაქმიანობისთვის ხელის შემშლელ ფაქტორად გამოკითხულ კომპანიათა 29%-მა დაასახელა. სექტორებს შორის, ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის არასტაბილურობა ყველაზე მეტად მრეწველობის სექტორის კომპანიებისთვის (50%) წარმოადგენს ხელის შემშლელ ფაქტორს, ყველაზე ნაკლებად კი მომსახურების სექტორისთვის (22%). საწარმოს ზომის მიხედვით, ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის არასტაბილურობა ყველაზე მეტად მცირე ზომის კომპანიებისთვის წარმოადგენს პრობლემას (44%-მა დაასახელა ხელის შემშლელად).

2023 წლის III კვარტალში, ***შეზღუდული ფინანსური რესურსები*** ხელის შემშლელად გამოკითხულ კომპანიათა 13%-მა დაასახელა. შეზღუდული ფინანსური რესურსები, როგორც ხელის შემშლელი ფაქტორი, ყველაზე მეტად მრეწველობის სექტორის (25%) მიერ ფიქსირდება. საწარმოთა ზომის მიხედვით, შეზღუდული ფინანსური რესურსების პრობლემა ყველაზე მეტად მსხვილი ზომის კომპანიებს აქვთ (17%).

[5] საწარმოს ზომა განისაზღვრა საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მეთოდოლოგიის მიხედვით: მცირე, საშუალო და მსხვილი.



გრაფიკი 12: ძირითადი ხელის შემშლელი ფაქტორები გამოკითხული კომპანიებისთვის სექტორების მიხედვით 2023 წლის III კვარტალში



გრაფიკი 13: ძირითადი ხელის შემშლელი ფაქტორები გამოკითხული კომპანიებისთვის საწარმოთა ზომის მიხედვით 2023 წლის III კვარტალში

ხელის შემშლელ ფაქტორებს შორის, წინა კვარტალთან შედარებით, ყველაზე მეტად ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის არასტაბილურობის პრობლემა შემსუბუქდა (19 პროცენტული პუნქ-ტით), ხოლო ყველაზე მეტად სამუშაო ძალის ნაკლებობის პრობლემა გამძაფრდა (8 პროცენტუ-ლი პუნქტით) (იხილეთ გრაფიკი 14).



გრაფიკი 14: ძირითადი ხელის შემშლელი ფაქტორები გამოკითხული კომპანიებისთვის

6 ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის არასტაბილურობა, როგორც ერთ-ერთი ხელის შემშლელი ფაქტორი ბიზნესისთვის, არსებულ კითხვარს 2021 წლის III კვარტალში დაემატა.

ბიზნესისთვის სამართლებრივი და ადმინისტრაციული ბარიერების განმაპირობებელი ძირითადი ფაქტორები

2023 წლის III კვარტალში, იმ კომპანიათა უმეტესობამ, რომლებმაც სამართლებრივი და ადმინისტრაციული ბარიერები დაასახელეს ხელის შემშლელ ფაქტორად, წინა პერიოდების მსგავსად, ***მარეგულირებელი გარემო*** მიიჩნიეს ყველაზე მნიშვნელოვან ბარიერად, რაც ხელს უშლის მათ ბიზნესსაქმიანობას. სექტორებს შორის, მარეგულირებელი გარემო ხელის შემშლელ ფაქტორად ყველაზე მეტად დასახელდა ვაჭრობის სექტორში (75%), ხოლო აღნიშნული ფაქტორი ყველაზე ნაკლებად მშენებლობის სექტორის მიერ სახელდება (50%).

სამართლებრივ და ადმინისტრაციულ ბარიერებს შორის, მეორე ადგილს ***ადმინისტრაციული საკითხები*** იკავებს. აღნიშნული ფაქტორი სექტორებს შორის, ხელის შემშლელ ფაქტორად ყველაზე მეტად მომსახურების სექტორში დაფიქსირდა (60%), ხოლო ყველაზე ნაკლებად მშენებლობისა და ვაჭრობის სექტორებში (შესაბამისად, 50% და 50%).

რაც შეეხება ***სასამართლო სისტემას***, აღნიშნული ფაქტორი ხელის შემშლელად ყველაზე მეტად მშენებლობისა და მომსახურების სექტორებში დაფიქსირდა (შესაბამისად, 50% და 50%), ხოლო ყველაზე ნაკლებად ვაჭრობის სექტორში (38%).



გრაფიკი 15: ძირითადი ხელის შემშლელი სამართლებრივი და ადმინისტრაციული ბარიერები გამოკითხული კომპანიებისთვის

მთლიანობაში, წინა კვარტალთან შედარებით, გაზრდილია იმ კომპანიათა წილი, რომელიც სასამართლო სისტემასა და ადმინისტრაციულ საკითხებს ასახელებდა ხელის შემშლელად (შესაბამისად 7 და 5 პროცენტული პუნქტებით), ხოლო შემცირდა იმ კომპანიათა წილი, რომლებიც მარეგულირებელ გარემოს მიიჩნევს ხელის შემშლელად (28 პროცენტული პუნქტით).



გრაფიკი 16: ძირითადი ხელის შემშლელი სამართლებრივი და ადმინისტრაციული ბარიერები გამოკითხული კომპანიებისთვის

დაფინანსება

2023 წლის III კვარტალში, დაფინანსების მოძიება სცადა გამოკითხულ კომპანიათა 41%-მა, რაც წინა კვარტალთან შედარებით მცირედით შემცირებული მაჩვენებელია (2 პროცენტული პუნქტით) (იხილეთ გრაფიკი 17).

2023 წლის III კვარტალში, მათგან, ვინც ბოლო პერიოდში დაფინანსების მოძიება სცადა, 24% აცხადებს, რომ ფინანსებზე წვდომა პრობლემას წარმოადგენს. აღნიშნული მაჩვენებელი წინა კვარტალთან შედარებით მნიშვნელოვნადაა შემცირებული (10 პროცენტული პუნქტით) (იხილეთ გრაფიკი 18).



გრაფიკი 17: დაფინანსების მოძიება



გრაფიკი 18: ფინანსებზე წვდომა[7]

რაც შეეხება ბიზნესის დაფინანსების წყაროებს[8], 2023 წლის III კვარტალში, წინა პერიოდების მსგავსად, კომპანიათა უმეტესობის განცხადებით, ისინი ფინანსდებიან ადგილობრივი წყაროებიდან. ამასთან იმ კომპანიათა პროცენტული წილი, რომლებიც მხოლოდ უცხოური წყაროებიდან ფინანსდებიან, 2023 წლის III კვარტალში, წინა კვარტალთან შედარებით, 5 პროცენტული პუნქტით გაიზარდა.



გრაფიკი 19: დაფინანსების წყაროები

[7] კითხვას პასუხი გასცა გამოკითხულთა მხოლოდ იმ ნაწილმა, რომელმაც უკანასკნელ პერიოდში სცადა ფინანსების მოძიება.

[8] 2021 წლის I კვარტალში ინდექსის მეთოდოლოგიაში განხორციელებულმა ცვლილებამ (გამოსაკითხი კომპანიების ბაზის გაზრდამ) გავლენა იქონია ბიზნესის დაფინანსების წყაროების სტრუქტურაზე. სხვა მაჩვენებელზე მეთოდოლოგიურ ცვლილებას არსებითი გავლენა არ ჰქონია.

მოლოდინი გაცვლითი კურსის შესახებ

2023 წლის III კვარტალში, 2023 წლის II კვარტალთან შედარებით, მცირედით გაიზარდა (4 პროცენტული პუნქტით) იმ კომპანიების წილი, რომლებსაც მომდევნო 6 თვეში ლარის აშშ დოლართან გაცვლითი კურსის გაუფასურების მოლოდინი აქვთ. ამასთან, 2023 წლის III კვარტალში, წინა კვარტალთან შედარებით, 10 პროცენტული პუნქტით გაიზარდა იმ კომპანიების წილი, რომლებიც მომდევნო 6 თვეში ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილებას არ ელიან.



გრაფიკი 20: ლარის აშშ დოლართან გაცვლითი კურსის ცვლილების მოლოდინი

BAG დასაქმების ბარომეტრი

BAG დასაქმების ბარომეტრი ასახავს კომპანიების მოლოდინს მომავალ სამ თვეში დასაქმების სავარაუდო ცვლილების შესახებ.[9]

2023 წლის III კვარტალში გამოკითხულ კომპანიებს მომავალ სამ თვეში დასაქმების მიმართულებით უმეტესად დადებითი მოლოდინი აქვთ. BAG-ის დასაქმების ბარომეტრმა 43.9 ქულა შეადგინა. აღნიშნული მაჩვენებელი გაუმჯობესებულია როგორც 2022 წლის III კვარტალთან შედარებით (15.8 ქულით), ასევე, წინა - 2023 წლის II კვარტალთან შედარებით (2.0 ქულით).



გრაფიკი 21: BAG დასაქმების ბარომეტრი

2023 წლის III კვარტალში დასაქმების ბარომეტრის მაჩვენებელი ყველა სექტორში დადებითია. 2023 წლის III კვარტალში, 2023 წლის II კვარტალთან შედარებით, დასაქმების ბარომეტრის მაჩვენებელი გაუმჯობესდა ვაჭრობის (3.7 ქულით გაიზარდა), მრეწველობისა (4.5 ქულით გაიზარდა) და მომსახურების (4.9 ქულით გაიზარდა) სექტორებში, ხოლო გაუარესდა - მშენებლობის სექტორში (18.2 ქულით შემცირდა) (იხილეთ გრაფიკი 22).

2023 წლის III კვარტალში, 2023 წლის II კვარტალთან შედარებით, მშენებლობის სექტორებში დასაქმების ბარომეტრის მაჩვენებლის მნიშვნელოვანი გაუარესება შესაძლოა, უკავშირდებოდეს ამ სექტორში წინა კვარტლებში არსებულ ოპტიმისტურ მოლოდინს გაყიდვების ზრდასთან დაკავშირებით , რომელიც 2023 წლის III კვარტალში სრულად ვერ გამართლდა (BAG ინდექსის 2023 წლის II კვარტლის გამოკითხვის მიხედვით, მშენებლობის სექტორში გამოკითხულ კომპანიათა 73% მოელოდა გაყიდვების ზრდას 2023 წლის III კვარტალში, თუმცა გაყიდვების ზრდა გამოკითხულ კომპანიათა მხოლოდ 36%-მა მოახერხა).

[9] კომპანიებს შეუძლიათ, დასაქმებულთა რაოდენობის შესახებ არსებული მომდევნო სამი თვის გეგმები აღწერონ, როგორც „მზარდი", „სტაბილური" ან „კლებადი". ამ გეგმების საბალანსო მნიშვნელობა გამოითვლება პასუხების - „მზარდი"-სა და „კლებადი"-ს პროცენტულ წილებს შორის სხვაობით. BAG დასაქმების ბარომეტრი არის სექტორების საბალანსო მნიშვნელობების შეწონილი საშუალო. BAG დასაქმების ბარომეტრის მნიშვნელობა შესაძლოა იყოს -100–დან +100–მდე. -100 ნიშნავს, რომ ყველა გამოკითხული ბიზნესი მომდევნო სამი თვის განმავლობაში მოელის დასაქმებულთა რაოდენობის შემცირებას, ხოლო +100 ნიშნავს, რომ ყველა გამოკითხული ბიზნესი მომდევნო სამი თვის განმავლობაში მოელის დასაქმებულთა რაოდენობის ზრდას. წყარო: BAG ინდექსი, II კვარტალი, 2023 - ბიზნეს კლიმატი

ცხრილი 2: დასაქმების ბარომეტრი. საბალანსო მნიშვნელობები სექტორის მიხედვით

სექტორი	IV კვ. 2019	I კვ. 2020	II კვ. 2020	III კვ. 2020	IV კვ. 2020	I კვ. 2021	II კვ. 2021	III კვ. 2021	IV კვ. 2021	I კვ. 2022	II კვ. 2022	III კვ. 2022	IV კვ. 2022	I კვ. 2023	II კვ. 2023	III კვ. 2023
ვაჭრობა	33.3	-45.0	5.6	12.5	-23.5	2.8	18.2	21.6	25.0	32.4	34.3	26.8	22.6	33.3	41.0	**44.7**
მომსახურება	14.6	-41.7	0.0	-5.0	-8.0	17.6	34.8	-2.3	11.1	15.6	19.6	25.6	26.2	27.9	31.0	**35.9**
მრეწველობა	11.1	-25.0	0.0	16.7	20.0	17.6	33.3	21.4	21.4	29.4	40.0	20.0	23.1	25.0	45.5	**50.0**
მშენებლობა	50.0	-80.0	-28.6	14.3	-33.3	30.8	12.5	27.3	50.0	37.5	27.3	50.0	63.6	68.8	81.8	**63.6**
BAG	26.1	-46.7	-2.8	6.2	-13.7	14.7	27.4	11.7	20.5	24.9	27.7	28.1	29.1	34.0	41.9	**43.9**



გრაფიკი 22: BAG დასაქმების ბარომეტრი სექტორების მიხედვით

დასაქმებულთა რაოდენობასთან ერთად, მნიშვნელოვანია, გავაანალიზოთ კომპანიებში დასაქმებულთა ანაზღაურების დინამიკაც. გამოკითხვის შედეგების მიხედვით, 2023 წლის III კვარტალში კომპანიათა 35%-მა გაზარდა დასაქმებულთა ხელფასები. აღნიშნული ზრდა შესაძლოა, უკავშირდებოდეს საქართველოში სპეციალისტებისა და სამუშაო ძალის ნაკლებობის პრობლემას. აღნიშნულ ფაქტორებს ხელის შემშლელად კომპანიათა დიდი ნაწილი აფიქსირებს (2023 წლის III კვარტალში კომპანიათა 64%-მა სპეციალისტების ნაკლებობა, ხოლო 49%-მა სამუშაო ძალის ნაკლებობა დაასახელა ხელის შემშლელ ფაქტორებად).



გრაფიკი 23: დასაქმებულთა ანაზღაურება

გამოკითხულ კომპანიათა შორის, ვინც 2023 წლის III კვარტალში თანამშრომელთა ხელფასების ზრდა დააფიქსირა, უმრავლესობამ (91%-მა) 2023 წლის III კვარტალში დასაქმებულთა ანაზღაურება 0-20%-ით გაზარდა. 2023 წლის III კვარტალში, არც ერთ გამოკითხულ კომპანიას არ გაუზრდია დასაქმებულთა ანაზღაურება 60%-ზე მეტად.



გრაფიკი 24: დასაქმებულთა ანაზღაურების % ზრდა

სექტორების მიხედვით, 2023 წლის III კვარტალში, ვაჭრობის და მშენებლობის სექტორებში კომპანიათა ყველაზე დიდმა ნაწილმა დააფიქსირა დასაქმებულთა ანაზღაურების ზრდა. 2023 წლის IV კვარტალში კი დასაქმებულთა ანაზღაურების ზრდას კომპანიათა ყველაზე დიდი წილი (45%) მშენებლობის სექტორში გეგმავს.



გრაფიკი 25: დასაქმებულთა ანაზღაურება ვაჭრობის, მომსახურების, მრეწველობის და მშენებლობის სექტორებში

BAG ინვესტიციების კვლევა

ინვესტიციების კვლევის ფარგლებში, რომელიც ტარდება წელიწადში ორჯერ, პიემსი კვლევითი ცენტრი აგროვებს მონაცემებს ინვესტიციების ტენდენციების შესახებ. აღნიშნული კვლევისთვის გამოკითხული კომპანიები იყოფა ოთხ სექტორად (როგორც, BAG ბიზნეს კლიმატის შემთხვევაში): ვაჭრობა, მომსახურება, მრეწველობა და მშენებლობა. 2023 წლის მესამე კვარტალში ჩატარებულმა კვლევამ შეაჯამა BAG-ის წევრებისა და მათ ჯგუფში შემავალი კომპანიების მიერ 2022 წელს განხორციელებული ინვესტიციები და მათი გეგმები 2023 წლისთვის.

საინვესტიციო გარემო 2022 წელს

მთლიანობაში, გამოკითხული კომპანიების 67%–მა განაცხადა, რომ 2022 წელს, 2021 წელთან შედარებით, მათ მიერ განხორციელებული ჯამური ინვესტიციების მოცულობა გაიზარდა. ამასთან, გამოკითხული კომპანიების 32%-მა განაცხადა, რომ აღნიშნულ პერიოდში მათ მიერ განხორციელებული ჯამური ინვესტიციების მოცულობა უცვლელი დარჩა, ხოლო დანარჩენი 1%-ისთვის შემცირდა.



გრაფიკი 26: საინვესტიციო გარემო 2022 წელს

აღსანიშნავია, რომ მომსახურების სექტორში კომპანიების 3%-მა დააფიქსირა 2022 წელს, 2021 წელთან შედარებით, ჯამური ინვესტიციების შემცირება. მშენებლობის, მრეწველობისა და ვაჭრობის სექტორებში კლება არ დაფიქსირებულა (დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ გრაფიკები 28, 29, 30 და 31).

რაც შეეხება ინვესტიციების ზრდას, მშენებლობის სექტორში კომპანიათა 82%-ის განცხადებით, 2022 წელს, 2021 წელთან შედარებით, ჯამური ინვესტიციები გაიზარდა. მრეწველობის სექტორში მოცემულ პერიოდში ჯამური ინვესტიციების ზრდა კომპანიათა 70%-მა დააფიქსირა, ხოლო მომსახურებისა და ვაჭრობის სექტორებში - 65%-მა და 61%-მა, შესაბამისად.

მოცემულ ნაწილში განვიხილავთ, თუ სად განხორციელდა ინვესტიციები კომპანიების მიერ 2022 წლის განმავლობაში. 2022 წელს, კომპანიების უმეტესობამ გაზარდა ინვესტიციები როგორც მანქანა-დანადგარებსა და აღჭურვილობაში (70%), ასევე, პროგრამულ უზრუნველყოფასა და მონაცემთა ბაზებში (63%). ინვესტიციების ზრდა ყველაზე ნაკლებად შენობა-ნაგებობებში შეინიშნებოდა. ამ მიმართულებით ინვესტიციების ზრდა კომპანიათა 48%-მა დააფიქსირა.

სექტორების მიხედვით, მანქანა-დანადგარებსა და აღჭურვილობაში განხორციელებული ინვესტიციების მიხედვით, პროცენტულად ყველაზე მნიშვნელოვანი მატება მრეწველობის სექტორში დაფიქსირდა, სადაც კომპანიების 89%-მა გაზარდა ინვესტიციები აღნიშნული მიმართულებით.

ხოლო, პროგრამულ უზრუნველყოფასა და მონაცემთა ბაზებში ინვესტიციების მიხედვით გამოირჩეოდა ვაჭრობის სექტორი, სადაც კომპანიების 75%-ში ფიქსირდება ინვესტიციების ზრდა. რაც შეე-

ხება შენობა-ნაგებობებში განხორციელებული ინვესტიციების ზრდას, აღსანიშნავია მრეწველობისა და მშენებლობის სექტორები, სადაც კომპანიათა 67%-მა და 64%-მა განაცხადა, რომ 2022 წელს, 2021 წელთან შედარებით, შენობა-ნაგებობებში განხორციელებული ინვესტიციები გაზარდა.

საინვესტიციო გეგმები 2023 წელს

2023 წლის საინვესტიციო გეგმების შესაფასებლად 2023 წლის I კვარტალში ჩატარდა ინვესტიციების კვლევა, ხოლო 2023 წლის III კვარტალში მოხდა ამ პროგნოზის განახლება.

2023 წლის III კვარტალში გამოკითხული კომპანიების 68%-მა განაცხადა, რომ 2023 წელს, 2022 წელთან შედარებით, მათ მიერ ჯამურად განხორციელებული ინვესტიციების მოცულობა გაიზრდება. ამავდროულად, გამოკითხული კომპანიების 24% ჯამურად განხორციელებულ ინვესტიციებში ცვლილებას არ მოელის, ხოლო მხოლოდ 7% მოელის ინვესტიციების კლებას.

აღსანიშნავია, რომ 2023 წლის III კვარტალში ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით, გამოკითხულ კომპანიათა 2023 წლის საინვესტიციო მოლოდინი გაუმჯობესებულია, 2023 წლის I კვარტალში არსებულ საინვესტიციო მოლოდინთან შედარებით. 2023 წლის I კვარტალში გამოკითხული კომპანიების 63%-მა განაცხადა, რომ 2023 წელს, 2022 წელთან შედარებით, მათ მიერ ჯამურად განხორციელებული ინვესტიციების მოცულობის ზრდას გეგმავდა, რაც განახლებულ შეფასებას 5 პროცენტული პუნქტით ჩამოუვარდება. ამავდროულად, განახლებულ შეფასებაში 2 პროცენტული პუნქტით ნაკლებია იმ კომპანიების წილი, რომლებიც 2023 წელს ინვესტიციების შემცირებას ელის. შესაბამისად, საერთო ჯამში, 2023 წლის III კვარტალში, 2023 წლის I კვარტალთან შედარებით, გამოკითხულ კომპანიათა საინვესტიციო მოლოდინი 2023 წლისთვის გაუმჯობესდა.



გრაფიკი 27: კომპანიების 2023 წლის საინვესტიციო გეგმები

სექტორებს შორის, ყველაზე ოპტიმისტური მოლოდინი 2023 წელს ინვესტიციების განხორციელებასთან დაკავშირებით ვაჭრობის სექტორში ფიქსირდება. ვაჭრობის სექტორში გამოკითხულ კომპანიათა 76% გეგმავს ჯამური ინვესტიციების ზრდას. მომსახურებისა და მშენებლობის სექტორებში მსგავსი მოლოდინი გამოკითხულ კომპანიათა 67% და 64%-ს აქვს, ხოლო მრეწველობის სექტორში 50%-ს.

2023 წელს ინვესტიციების ზრდასთან დაკავშირებით, დადებითი პროგნოზები უფრო მეტად დაფიქსირდა აღჭურვილობის მიმართულებით, ხოლო შედარებით ნაკლებად - შენობა-ნაგებობებისა და პროგრამულ უზრუნველყოფასა და მონაცემთა ბაზების მიმართულებით. გამოკითხულთა 63% მოელის, რომ 2023 წელს მათი ინვესტიციები გაიზრდება აღჭურვილობის მიმართულებით. მსგავსი მოლოდინი პროგრამული უზრუნველყოფისა და მონაცემთა ბაზების მიმართულებით 59%-ს

აქვს. ხოლო გამოკითხულთა 57% თვლის, რომ 2023 წელს მათ მიერ განხორციელებული ინვესტიციები გაიზრდება შენობა-ნაგებობების მიმართულებით.

აღსანიშნავია, რომ სექტორების მიხედვით, აღჭურვილობისა და პროგრამული უზრუნველყოფის/მონაცემთა ბაზების მიმართულებით ყველაზე დადებითი პროგნოზი ფიქსირდება ვაჭრობის სექტორში. კერძოდ, ვაჭრობის სექტორში გამოკითხულ კომპანიათა 71% აპირებს გაზარდოს ინვესტიციები აღჭურვილობაში, ხოლო პროგრამული უზრუნველყოფის/მონაცემთა ბაზების მიმართულებით კომპანიათა 67% გეგმავს ინვესტიციების ზრდას. რაც შეეხება შენობა-ნაგებობებს, ამ მიმართულებით ყველაზე დადებითი მოლოდინი მშენებლობის სექტორში შეინიშნება, სადაც გამოკითხულთა 82% აპირებს ინვესტიციების ზრდას. ყველაზე უარყოფითი პროგნოზი მრეწველობის სექტორში ფიქსირდება, სადაც გამოკითხულთა 25% მოელის შენობა-ნაგებობებისა და აღჭურვილობის მიმართულებებით ინვესტიციების შემცირებას 2023 წელს.



გრაფიკი 28: საინვესტიციო გარემო 2021 და 2022 წლებში და საინვესტიციო გეგმები 2023 წელს ვაჭრობის სექტორში (ცვლილება წინა წელთან შედარებით)[10]



გრაფიკი 29: საინვესტიციო გარემო 2021 და 2022 წლებში და საინვესტიციო გეგმები 2023 წელს მომსახურების სექტორში (ცვლილება წინა წელთან შედარებით)

[10] დამრგვალების გამო ანგარიშში მოცემულ ზოგიერთ გრაფიკზე მონაცემთა ჯამი ზუსტად 100%-ის ტოლი არ არის.
*მოლოდინი



გრაფიკი 30: საინვესტიციო გარემო 2021 და 2022 წლებში და საინვესტიციო გეგმები 2023 წელს მრეწველობის სექტორში (ცვლილება წინა წელთან შედარებით)



გრაფიკი 31: საინვესტიციო გარემო 2021 და 2022 წლებში და საინვესტიციო გეგმები 2023 წელს მშენებლობის სექტორში (ცვლილება წინა წელთან შედარებით)

კონტაქტი:

გ. ლეონიძის ქ. 2, თბილისი, საქართველო

+995 32 2 202-215

info@bag.ge

Business Association of Georgia

www.bag.ge